

შპს „პარტნიორი 2010“-ის

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შ ი ნ ა ა რ ს ი

- 1) ზოგადი ინფორმაცია
- 2) განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარებში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “პარტნიორი 2010 ” (ს/კ 215149523) რეგისტრირებულია ქ.ფოთის საგადასახდო ინსპექციის რეგიონალური ცენტრში 15.09.2009 წ. რეგისტრაციის № 10005883. კომპანიის ფაქტიური და იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.ფოთი, სარსანიას ქ. №67ბ . კომპანიას ამჟამად მართავს დირექტორი საქართველოს მოქალაქე ბესიკ მანძავა. კომპანიას გაცხადებული და შევსებული საწესდებო კაპიტალი 31.12.2024 წლის მდგომარეობით არის 1000 ლარი. საზოგადოებას ჰყავს 1 პარტნიორი, - ფიზიკური პირი ბესიკ მანძავა

კომპანია ჩართულია გადასახადის გადამხდელთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი № 215149523 . საზოგადოება არის დღგ-ს გადამხდელი.

2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს :

კომპანიის ძირითად საქმიანობას დღიდან დაარსებისა წარმოადგენს „ნატახტარი“-ს ლუდისა და ლიმონათის ნაწარმის, ასევე „ბორჯომი“-ს პროდუქციის დისტრიბუციას(სენაკი, მარტვილი, აბაშა, ფოთი, ლანჩხუთი, ოზურგეთი) მასშტაბით, როგორც საცალო, ასევე საბითუმო და ქსელურ მარკეტებში.

პროდუქცია, რომელიც წარმოდგენილია ჩვენი კომპანიის პორტფელში წარმოადგენენ თავის კატეგორიაში ერთ-ერთ ყველაზე კონკურენტუნარიან სახეობებს, რომლებიც მომხარებელშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. სასაწყობე ინფრასტრუქტურის გამოყენებით ხორციელდება პროდუქციის შენახვა, ხოლო შემდგომ მათი დისტრიბუცია სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებზე სადისტრიბუციო მანქანების მეშვეობით.

მომხარებელთა ბაზა კონკურენტებთან შედარებით შეიძლება ისეთი მრავალრიცხოვანი არ იყოს, თუმცა მაქსიმალურად დივერსიფიცირებულია. ესენია არიან, როგორც მიკრო და მცირე, ასევე საშუალო, მსხვილი და ქსელური ობიექტები. ხაზგასასმელია ბოლო პერიოდის ტენდენციები, როცა ხდება ქსელური მარკეტების აგრესიული ექსპანსია და ეს თავის მხრივ გარკვეულ გავლენას ახდენს თვითონ დისტრიბუციის მნიშვნელობასა და განვითარებაზე. კერძოდ, დიდი ქსელების განვითარების პრაქტიკულად ხდება მცირე და საშუალო ტიპის მაღაზიების რეალიზაციების შემცირება და მათი გადახდისუნარიანობის რადიკალური კლება. შესაბამისად, ასეთი სავაჭრო ობიექტები შემდეგ ვეღარ ახდენენ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას და ხშირ შემთხვევაში რჩებათ გარკვეული დავალიანებები კომპანიის მიმართ,

საკანონმდებლო ბაზა კი ბოლომდე არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სასამართლოს გზით სრულად მოხდეს დროულად ვალდებულებების ამოღება.

კომპანიის სადისტრიბუციო მოდელში სპეციფიურობიდან გამომდინარე ხდება როგორც შეკვეთის ე.წ. **van sale** და **pre sale** მეთოდების გამოყენება. აღსანიშნავია, რომ საბოლოო მომხმარებელამდე (ნდ-უსერ) პროდუქციის მიტანისას ხდება სუბიექტების მთლიანი ჯაჭვის გაერთიანება, - პროდუქტის მომწოდებელი/მწარმოებელი - სადისტრიბუციო კომპანია - საცალო, საბითუმო და ქსელურ სავაჭრო წერტილებს - საბოლოო მომხმარებელი (ნდ-უსერ). გაყიდვების ჯგუფის მხარდაჭერის ძლიერი ელემენტია **IT** მხარდაჭერა. კომპანიის გაყიდვების წარმომადგენლები სარგებლობენ კომპანიის ოპერაციებზე პროგრამული უზრუნველყოფით (ე.წ. "**Pocket**"), რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს სამუშაო პროცესსა და ამცირებს ვადას პროდუქციის შეკვეთასა და მიწოდებას შორის. პოკეტებისა და სისტემის არსებობა საშუალებას იძლევა ონლაინ რეჟიმში მოხდეს შეკვეთების აღება და შემდეგ უკვე მისი ანალიზი, დამუშავება და მიტანისათვის გამზადება. აღსანიშნავია, რომ არსებული პროგრამული უზრუნველყოფის სისტემები სრულ სინქრონშია საგადასახადო რეგულირების სისტემებთან და სრულად პასუხობს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. 2024 წელს კომპანიაში საშუალოდ 30 თანამშრომელი იყო

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

4.1. მომზადების საფუძველი.

კომპანია თავისი ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების მიხედვით მომზადების დასრულების პროცესშია. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით სრული შესაბამისობა მსს ფასს-ებთან მიიღწეული იქნა მხოლოდ 2019 წლის 31 დეკემბრისათვის. სწორედ ამ მიზნით, მენეჯმენტმა გადაწყვიტა, ეწარმოებინა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგება: 2024 წლის 1 იანვრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო უწყისისაგან, 2024 წლის სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგებისაგან, საკუთარ კაპიტალში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშგებისაგან და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველია მსს ფასს-ები. ამ მიზნით საწყისი ბალანსი 2017 წლის 1 იანვრისათვის (მსს ფასსებზე გადასვლის თარიღი) წარმოდგენილი ბალანსი მომზადებულია ფასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ შესაბამისად. ეს სტანდარტი მოითხოვს რომ სტანდარტის დანერგვის თარიღის ბალანსი შესაბამისობაში იყოს სრული ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის არსებულ მსს ფასსებთან, რომელიც მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ების ყველა მოთხოვნების გათვალისწინებით რომლებიც გამოშვებულია და ეფექტურია ან გამოშვებულია და წინასწარ დანერგილია ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული თვითღირებულების პრინციპის საფუძველზე.

4.2. წარსადგენი ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული. კომპანიას 2024 წლის შედეგებით სავალუტო ოპერაციები არ განუხორციელებია

როდესაც კომპანია ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მონაწილე.

მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, მაგრამ არ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარეს არ გააჩნია დაუკავშირებელი, მესამე მხარისათვის ერთიანი აქტივის მიყიდვის პრაქტიკული უნარი გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

4.3. ძირითადი საშუალებები

2025 წლის 1 იანვრისათვის წარდგენილი ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით ან “ჩათვლილი ღირებულებით“ ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების პირველადი გამოყენება შესაბამისად. ამ თარიღის შემდეგ შემცირებული ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელზეც დაკლებულია დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სასარგებლო მომსახურების ვადა

კომპანიის ბალანსზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული ძირითადი საშუალებების უმეტესი ნაწილი მოდის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, სასაწყობო და საოფისე შენობაზე, ასევე სატრანსპორტო საშუალებებზე..

4.4. არამატერიალური აქტივები კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ნარჩენ ღირებულებაზე 15%-იანი ამორტიზაციის ნორმის გამოყენებით. არამატერიალურ აქტივში რიცხული თანხის უმეტესი ნაწილი მოდის საბუღალტრო პროგრამაში გადახდილ თანხაზე.

4.5. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად მოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომელის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი, ხოლო ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის კომპანიასაც, აღარ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში შეტანას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა აღარ სწარმოებს და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ან/და ვალდებულება ნულია, ვინაიდან აღარ არსებობს ის ფაქტორები, რომელიც გადავადებულ გადასახადს წარმოშობს.

4.6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთის 354275 ლარის უმეტესი ნაწილი მოდის შემდგომი რეალიზაციისათვის განკუთვნილ ლუდის, ლიმონათის და ბორჯომის პროდუქტებზე, ასევე უმნიშვნელოდ სატრანსპორტო საშუალებებისათვის შეძენილ დიზელის და ბენზინის საწვავზე.

4.7. გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილ ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის,

ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის ბალანსზე გადახდილი ავანსების მუხლში რიცხული ნაშთი წლის დასაწყისში და წლის ბოლოსაც არ გააჩნია.

4.8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

4.12.1. ანგარიშგებაში ასახული ფულადი სახსრები სრულად შედგება ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშებისაგან. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშებზე რიცხული თანხებიდან.

4.12.2 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ №7-ის შესაბამისად, არაპირდაპირი მეთოდით. აღნიშნული ანგარიშგების მიზანია ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ცვლილებების ანალიზი.

4.9. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

4.10. უცხოური ვალუტის გადაანგარიშება უცხოურ ვალუტაში

ნომინირებული ოპერაციები კომპანიას არ გაჩნია.

4.11. მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები

წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

4.12. ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხორციელდება მომსახურების გაწევისა და საქონლის გადატვირთვისთანავე, როდესაც მისაღები თანხის განსაზღვრა შეიძლება საიმედოდ.

4.13. ინფლაციის გავლენა

ბასს 29 ითხოვს, რომ ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები იქნას ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებულ ზომის ერთეულებში. ბასს 29-ის მიხედვით კომპანიის სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებული იქნება ადგილობრივი ვალუტით ყოველგვარი შესწორებების გარეშე, არ იქნება სასარგებლო. ფული მსყიდველობითუნარიანობას კარგავს იმ დონეზე, რომ ერთი და იმავე საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი სხვადასხვა ოპერაციებისა თუ მოვლენების ამსახველი თანხების შედარება, შეცდომაში შეიყვანს მომხმარებელს. ბასს 29 ჰიპერინფლაციის დაწყების მაჩვენებლად საზღვრავს რამდენიმე კრიტერიუმს, მათ შორის ინფლაციის საერთო დონე სამი წლის განმავლობაში აღწევს ან აჭარბებს 100%-ს. ზემოს აღნიშნული ინფლაციის დონე, რომელიც ეფუძნება საქართველოში სამომხმარებლო ფასების ინდექსს, 2024 წლის განმავლობაში შეადგენდა

3,2%-ს.

4.14. საექვო მოთხოვნების რეზერვი

კომპანიას საექვო მოთხოვნების რეზერვი ამ ეტაპზე არ გააჩნია.

4.15. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

მიღებული სესხები -

გადახდილი ხელფასი - - 179847

შემოსავალი	-	0	-
შესყიდვები (იჯარა)	-	-	0 -
განაწილებული დივიდენდები	94737		

- -

4.22. წმინდა მოგების განაწილება

2024 წლის განმავლობაში წმინდა მოგების სახით განაწილებული იქნა ხელზე 90000 ლარის დივიდენდი.

შ.პ.ს. „პარტნიორი2010“-ის დირექტორი

ბესიკ ძანძავა

მთ. ბუღალტერი

თამაზ სარდალიშვილი

საქართველო. ქ. ფოთი, 2025 წლის 9 სექტემბერი

4.15. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

მიღებული სესხები	-	-	-
გადახდილი ხელფასი	-	-	179847
შემოსავალი	-	-	0
შესყიდვები (იჯარა)	-	-	0
განაწილებული დივიდენდები	94737	-	-

4.22. წმინდა მოგების განაწილება

2024 წლის განმავლობაში წმინდა მოგების სახით განაწილებული იქნა ხელზე 90000 ლარის დივიდენდი.

შ.პ.ს. „პარტნიორი2010“-ის დირექტორი

მთ. ბუღალტერი

საქართველო, ქ. ფოთი, 2025 წლის 10 სექტემბერი



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	23695	20484	16926
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1424183	1092778	854310
მარაგები	354275	231778	221650
მზა პროდუქცია	354275	231778	221650
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	18589	0
სხვა არამატერიალური აქტივები	2566	2993	3332
ძირითადი საშუალებები	822590	455172	400131
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	150000	0
სულ აქტივები	2627309	1971794	1496349
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1364311	1111991	508901
საგადასახადო ვალდებულებები	47362	0	9755
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	296772	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	40967	0
სულ ვალდებულებები	1708445	1152958	518656
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივ გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1000	1000	1000
სულ საკუთარი კაპიტალი	917864	817836	976693
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	918864	818836	977693
სულ მოკლევადიანი აქტივები	2627309	1971794	1496349
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1802153	1363640	1159986
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1708445	1148860	508901

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	11037108	9006306
საქონლის გაყიდვიდან	10877778	8917134
მომსახურების გაწევიდან	159330	89172
გაყიდვების თვითღირებულება	-9864463	-7951981
საერთო მოგება	1172645	1054325
დასაქმებულთა ანაზღაურება	-843890	-713447
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-61144	-67677
საპროცენტო ხარჯი	-13980	-11092
იჯარის ხარჯი	0	-167553
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-55719	-147895
სულ საოპერაციო ხარჯები	-974733	-1107664
საოპერაციო მოგება	197912	-53339
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაცი;	197912	-53339
მოგების გადასახადის ხარჯი	-18836	-13835
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	179076	-67174
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	179076	-67174
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	818836	977693
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-94737	-76130
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	15689	-15553
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	918864	818836

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში ;	266811	209772
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობ.	-446396	-122772
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გაწ	182796	-83442
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	3211	3558
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის წ	20484	16926
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბ	23695	20484